დანართი N2
ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტი

წვრილფეხა მეცხოველეობის ფერმის მოწყობის ქვეკომპონენტი

- უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ამონაწერი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;
- მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა), სახელმწიფო იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში);
- ამონაწერი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული საძოვრის შესახებ ან/და იჯარის ხელშეკრულება (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 წელს);
- წვრილფეხა პირუტყვის ფერმის მოწყობის ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
- სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში მშენებელთან გაფორმებული ხელშეკრულება და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროგრამით განსაზღვრულ ფერმის/სადგომის სავალდებულო მინიმალურ პარამეტრებთან დაკავშირებით;
- მომსახურების მომწოდებელ ფიზიკურ პირთან ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება ან/და ინვოისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების/მეპაიეთა კრების ოქმი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ;
- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებების კომპონენტის ფარგლებში გასაცემი სესხის პარამეტრების შესახებ (გაცემული სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე);
- ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ ან ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არაუმეტეს 1 000 ლარის დავალიანების შესახებ ან

შესაბამისი დოკუმენტი სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ან მისი გადახდის ვალდებულების შესაბამისი კანონის საფუძველზე შეჩერების შესახებ (გაცემული სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე);

- პოტენციური ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში.